GOPAY

თანხის მატანა ავტომატურად

მძღოლი ითხოვს აპლიკაციიდან – თანხა მის ბანკის ანგარიშზე მიდის. ბალანსი პირდაპირ Yandex Fleet-იდან იკითხება, ანუ ორმაგი აღრიცხვა არ არსებობს.

დღეს როგორ ხდება

მძღოლი გირეკავს · ხელით ამოწმებ ბალანსს · ხელით რიცხავ · ხელით იწერ ვინ რამდენი აიღო. დღეში ოცჯერ.

GOPAY ამ ჯაჭვს თქვენს ნაცვლად ატარებს

მოთხოვნა, შემოწმება, გადარიცხვა და ჩანაწერი – ერთ ნაკადში, თქვენი ჩარევის გარეშე.

1
მძღოლი ითხოვს აპლიკაციიდან

2
სისტემა ამოწმებს ხელმისაწვდომ თანხას

3
თანხა მიდის მის ანგარიშზე

4
ჩანაწერი რჩება ავტომატურად

> ხელმისაწვდომი თანხა ითვლება როგორც ბალანსი მინუს უკვე მოთხოვნილი. ერთი და იმავე თანხის ორჯერ მოთხოვნა ტექნიკურად შეუძლებელია.

რას იღებს ტაქსოპარკი

ყველაფერი, რაც ქვემოთ წერია, დღეს მუშაობს.

ს

საკუთარი პანელი და მისამართი

თქვენიპარკი.gopay.ge. სხვა პარკის მონაცემებთან წვდომა ტექნიკურად არ არსებობს.

გ

გატანების მართვა

ყველა მოთხოვნა ერთ სიაში: დადასტურება, უარყოფა, ბანკში ხელახლა გაგზავნა.

ავ

ავტომატური გადარიცხვა

BOG Business Online-ით თანხა თქვენი ჩარევის გარეშე მიდის; ან ხელით დადასტურებით.

წ

თქვენი წესები

მინიმალური თანხა, საკომისიო, პარკის დანამატი ჭერით – პანელიდან, მაშინვე.

მ

მძღოლები და ავტოპარკი

ვის რა ბალანსი აქვს, რომელი მანქანით დადის, რამდენი მგზავრობა და საათი, ვინაა ონლაინში.

ქ

ავტომობილების გაქირავება

თქვენი მანქანები აპლიკაციაში ფოტოებით და პარამეტრებით; განაცხადი იქვე.

ახ

ახალი მძღოლების მოზიდვა

რეგისტრაცია საიტიდან და აპლიკაციიდან, განაცხადები თქვენს პანელში.

ღ

გამჭვირვალე ანგარიშსწორება

თითოეული გატანა თავისი ნომრით, ბანკის ამონაწერთან შედარებადი.

რას იღებს მძღოლი

კმაყოფილი მძღოლი პარკს არ ტოვებს – ეს თქვენივე ინტერესია.

ტ

გატანა ტელეფონიდან

საკუთარ ბანკის ანგარიშზე, დარეკვის და პარკში მისვლის გარეშე.

ბ

ბალანსი ნამდვილი

რამდენის აღება შეუძლია – ბალანსი მინუს უკვე მოთხოვნილი.

ი

ყოველი ლარის ისტორია

მგზავრობები რუკაზე დახატული მარშრუტით, ჩამოჭრები და დარიცხვები გაშლილად.

სთ

ონლაინ საათები

დღეს რამდენი გაატარა, რამდენი დარჩა ნორმამდე, როდისაა დასვენების დრო.

მზ

ჩემი მიზნები

რისთვის აგროვებს და რა რიგით; აპლიკაცია ეუბნება, დღეში რამდენი სჭირდება.

სწ

ახლოს საწვავი

სადგურები და მიმდინარე ფასები რუკაზე, მარშრუტით.

ქ

ქირაობა

პარკის თავისუფალი მანქანები ფოტოებით და განაცხადით იქვე.

უს

უსაფრთხოება

შესვლა SMS-კოდით, პაროლის გარეშე; ანგარიშის შეცვლა დამატებითი კოდით.

ექვსი ენა: ქართული · ინგლისური · რუსული · აზერბაიჯანული · სომხური · თურქული

რა დაგჭირდებათ დასაწყებად

სამი წყარო. თითოეული მონაცემი კონკრეტულ საქმეს ემსახურება – სხვა არაფერი გვჭირდება.

YANDEX FLEET

გამოითხოვება Yandex-ის დისპეტჩერიდან – API-ზე წვდომის განაცხადით

- **Client ID** და **API Key** – პარკის გასაღები. ამით იკითხება ბალანსები, მგზავრობები, საათები და ავტოპარკი.
- **Park ID** – პარკის იდენტიფიკატორი Fleet-ში. ყოველი მოთხოვნა მასზეა მიბმული.
- **Work Rule ID** – სამუშაო წესი, რომლითაც ახალი მძღოლი ფორმდება რეგისტრაციისას.

საქართველოს ბანკი – BUSINESS ONLINE

უფასო, თვითმომსახურებით ირთვება ბიზნეს-ანგარიშზე

- **Client ID** და **Client Secret** – გადარიცხვის API-ს გასაღები. მხოლოდ ავტომატური რეჟიმისთვის.
- **ანგარიშის IBAN** – საიდანაც მძღოლს თანხა მიდის.
- სურვილისამებრ – ცალკე ანგარიში საკომისიოს შესადარებლად.

SENDSMS.GE

SMS-ის გამგზავნი – შესვლის კოდები და შეტყობინებები

- **API გასაღები** – კოდების და შეტყობინებების გასაგზავნად.
- **გამგზავნის სახელი** – რა დაწერია SMS-ის გამგზავნში (მაგ. თქვენი ბრენდი). რეგისტრირდება sendsms.ge-ზე.

> ყველა გასაღები ბაზაში **დაშიფრულად** ინახება და პასუხებში არასოდეს ბრუნდება. ხელით გადარიცხვის რეჟიმში ბანკის გასაღები საერთოდ არ გვჭირდება – მხოლოდ Yandex და sendsms.ge.

სარჩევი

პანელის ყოველი გვერდი ცალკე თავია. თითოეულში — ერთი ჩანაწერი ერთ ვიჯეტზე: სურათი, რა არის, რას აკეთებს და როდის გამოგადგება.

თავი 1	მარცხენა მენიუ	ყველა გვერდზე	7
თავი 2	მთავარი	/ad	8
თავი 3	გატანები	/ad/payouts	11
თავი 4	ჩემი საკომისიო	/ad/commission	13
თავი 5	მძღოლები	/ad/drivers	15
თავი 6	მძღოლის ბარათი	/ad/drivers/{id}	17
თავი 7	მგზავრობა	/ad/drivers/{id}/orders/{id}	19
თავი 8	GoPAY-ის მძღოლები	/ad/registrations	21
თავი 9	უცხოელი მძღოლები	/ad/compliance	22
თავი 10	ჩემი წესები	/ad/terms	24
თავი 11	მანქანები	/ad/cars	26
თავი 12	გაქირავება	/ad/rentals	28
თავი 13	ავტომობილის დამატება	/ad/rentals/create	30
თავი 14	განაცხადები და ხელშეკრულებები	/ad/rentals/requests	33
თავი 15	ლიდერბორდი	/ad/leaderboard	34
თავი 16	საჩუქრები	/ad/rewards	36
თავი 17	მისიები	/ad/missions	38
თავი 18	მისიის ფორმა	/ad/missions	40
თავი 19	გასაცემი ჯილდოები	/ad/missions/awards	43
თავი 20	შეტყობინებები	აპლიკაცია	45
თავი 21	სლაიდები	/ad/slides	46
თავი 22	SMS	/ad/sms	48
თავი 23	პარამეტრები	/ad/settings	49

თავი 1 მარცხენა მენიუ

პანელის ხერხემალი. თოთხმეტი პუნქტი, ექვს დასათაურებულ ჯგუფად – მეტი აქ არაფერია, რადგან რაც მენიუში არ წერია, იმ გვერდს ამ პანელში მისამართიც არ აქვს. აქტიური პუნქტი ყვითლდება. ტელეფონზე იგივე მენიუ იხსნება ზედა მარცხენა ღილაკით.



ნავიგაცია მენიუ

ზემოთ პარკის ლოგო და სახელი, ქვემოთ ჯგუფებად დალაგებული პუნქტები, ბოლოში – გამოსვლა. „მთავარს" სათაური არ აქვს: ის გვერდია, სადაც ხვდები.

- **მთავარი** – დღის სურათი: საკომისიო, მძღოლები, გასაცემი თანხა, დავალიანება.
- **ფული → გატანები** – მძღოლების მოთხოვნები და გატანების ისტორია დღეების მიხედვით.
- **ფული → ჩემი საკომისიო** – რამდენს იღებ მგზავრობებიდან – მძღოლებად და დღეებად.
- **მძღოლები → მძღოლები** – პარკის სრული შემადგენლობა Yandex-იდან, ცოცხალი სტატუსებით.
- **მძღოლები → GoPAY-ის მძღოლები** – ვინ შემოვიდა პარკში GoPAY-დან და როდის იყო ბოლოს აქტიური.
- **მძღოლები → უცხოელი მძღოლები** – ვის აქვს საქართველოში მუშაობის უფლება – დოკუმენტები და შენი გადაწყვეტილება.
- **მძღოლები → ჩემი წესები** – პარკის საკუთარი წესები, რომელსაც მძღოლი რეგისტრაციისას ეთანხმება.
- **ავტოპარკი → მანქანები** – ავტოპარკი: კლასები, ნომრები, ვის მიბმული აქვს რომელი.
- **ავტოპარკი → გაქირავება** – შენი საგაქირავებო მანქანები, განაცხადები და ხელშეკრულებები.
- **მოტივაცია → ლიდერბორდი** – მძღოლების საჯარო რეიტინგი და პრიზები.
- **მოტივაცია → საჩუქრები** – „საწვავის ყუთი" – მგზავრობებით მოპოვებული ცდები.
- **კომუნიკაცია → სლაიდები** – რას ხედავს მძღოლი შესვლის გვერდზე.
- **კომუნიკაცია → SMS** – ყველა გაგზავნილი შეტყობინება მიწოდების სტატუსით.
- **სისტემა → პარამეტრები** – დანამატი, ბანკის და SMS-ის რეკვიზიტები, შეტყობინებები, მინდობილი ანგარიშები.
- **გამოსვლა** – სესიის დახურვა. ხელახლა შესვლა – ნომრით და SMS-კოდით.

თავი 2 მთავარი

ერთი ეკრანი, რომელიც პასუხობს კითხვას „დღეს რა ხდება". ზემოთ – რას გამოიმუშავებს პარკი, შუაში – ვინ მუშაობს, ქვემოთ – რა ევალება ვის.



დღეს · 7 დღე · 30 დღე ბარათი



რას ხედავ. სამი ფილა პარკის საკომისიოთი. მესამე ყვითელია – თვის სურათია.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. ციფრები იმავე დღიური სერიიდან იჭრება, რომელსაც ქვემოთ დიაგრამა ხატავს, ამიტომ სათაური და სვეტები ვერასოდეს დაუპირისპირდება ერთმანეთს.

როდის გამოგადგება. დილით, ერთი შეხედვით – გუშინდელზე მეტია თუ ნაკლები.

„ჩემი საკომისიო" – დიაგრამა დიაგრამა + ჩანართები



რას ხედავ. სვეტები დღეების მიხედვით, თავზე სამი პერიოდის გადამრთველი (7 · 30 · 90 დღე), მარჯვნივ პერიოდის ჯამი.

რას აკეთებს. პერიოდის ღილაკები ცვლის ფანჯარას – გვერდი არ იტვირთება თავიდან. თანხა Yandex-ის ჩანაწერებიდანაა: ყოველი მგზავრობიდან რეალურად ჩამოჭრილი საკომისიო.

როდის გამოგადგება. როცა კვირის რიტმის დანახვა გინდა – რომელი დღეები მუშაობს და რომელი არა.

მთავარი

მძღოლებად და დღეებად ნახვა ღილაკი

რას ხედავ. სრული სიგანის ღილაკი დიაგრამის ქვეშ.

რას აკეთებს. ხსნის „ჩემი საკომისიო"-ს გვერდს, სადაც იგივე თანხა დაშლილია მძღოლებად და დღეებად.

როდის გამოგადგება. როცა ჯამის ახსნა გჭირდება – ვინ შემოიტანა ეს თანხა.

მძღოლები ბარათი-ბმული

რას ხედავ. პარკის მძღოლების რაოდენობა, ქვემოთ მწვანე წერტილით – რამდენია ახლა ონლაინ.

რას აკეთებს. მთელი ბარათი ბმულია: ხსნის მძღოლების სიას. ციფრი პირდაპირ Yandex-იდან იკითხება, ჩვენს ბაზაში არ ინახება.

როდის გამოგადგება. სამუშაო დღის დასაწყისში – რამდენი გავიდა ხაზზე.



მანქანები ბარათი-ბმული

რას ხედავ. პარკში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა.

რას აკეთებს. ხსნის მანქანების გვერდს.

როდის გამოგადგება. როცა ამოწმებ, მანქანაზე მეტი მძღოლი გყავს თუ პირიქით.



მძღოლების ბალანსი ბარათი-ბმული

რას ხედავ. ყველა მძღოლის გასატანად ხელმისაწვდომი თანხის ჯამი.

რას აკეთებს. ხსნის მძღოლების სიას, საიდანაც ეს ჯამი შედგა.

როდის გამოგადგება. ეს არის თანხა, რომელიც ნებისმიერ დღეს შეიძლება გატანად მოგთხოვონ – სალაროს დასაგეგმად.



გასაცემი ბარათი-ბმული

რას ხედავ. ჯამური თანხა და რამდენი მოთხოვნა ელოდება პასუხს.

რას აკეთებს. ხსნის გატანების გვერდს. ნული ნიშნავს, რომ ღია მოთხოვნა არ არის.

როდის გამოგადგება. დღეში რამდენჯერმე – ერთადერთი ციფრი ამ გვერდზე, რომელიც შენს მოქმედებას ელოდება.

მთავარი



გატანილი (30 დღე) ბარათი-ბმული

რას ხედავ. ბოლო ოცდაათ დღეში გატანილი ჯამი და გატანების რაოდენობა.

რას აკეთებს. ხსნის გატანების ისტორიას.

როდის გამოგადგება. თვის დახურვისას, ბანკის ამონაწერთან შესადარებლად.



GOPAY-ის საკომისიო – სულ გადასახდელი ბარათი-ბმული + ღილაკი

რას ხედავ. რამდენი გაქვს GoPAY-სთვის გადასახდელი და რამდენ გატანაზე.

რას აკეთებს. ბარათი ხსნის საკომისიოს გვერდს. თუ დავალიანება არსებობს და პარკი ჯერ არ დაბლოკილა, ბარათში ჩნდება შავი ღილაკი „ხელმოსაწერად გაგზავნა" – ის ბანკში ამზადებს დოკუმენტს მთელ გადასახდელზე. თანხა არსად მიდის, სანამ BOG-ის აპლიკაციაში ხელს არ მოაწერ.

როდის გამოგადგება. კვირაში ერთხელ – რომ ანგარიში მოულოდნელი არ იყოს.



ჩემი დანამატი გატანაზე ბარათი + ღილაკი

რას ხედავ. მდგომარეობის ნიშანი – „ჩართულია" ან „გამორთულია" – და პატარა ღილაკი პარამეტრებისკენ. ჩართულ მდგომარეობაში: რამდენი შემოიტანა 30 დღეში, რამდენ გატანაზე და რომელ ანგარიშზე.

რას აკეთებს. თავად ბარათი არაფერს ცვლის; „სლაიდერების" ღილაკი პარამეტრებში გადაგიყვანს, სადაც დანამატი ირთვება და თანხა იწერება.

როდის გამოგადგება. როცა წყვეტ, გატანის მომსახურებაში საკუთარი წილი გინდა თუ არა.

„მძღოლებს გატანა შეჩერებული აქვთ" წითელი გაფრთხილება

რას ხედავ. წითელჩარჩოიანი ბლოკი გვერდის თავში. ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა GoPAY-ის საკომისიო საშეღავათო ვადაზე მეტხანს გადაუხდელია. წერია ვადაგადაცილებული თანხა, სულ გადასახდელი და გადარიცხვის დანიშნულება.

რას აკეთებს. ორი ღილაკია: „გადასახდელების ნახვა" ხსნის გატანების გვერდს, „ხელმოსაწერად გაგზავნა" ბანკში ამზადებს დოკუმენტს. ამ დროს მძღოლები ვერ ითხოვენ ახალ გატანას – ვერც საიტიდან, ვერც აპლიკაციიდან.

როდის გამოგადგება. თანხის შემოსვლისთანავე შეზღუდვა თავისით იხსნება – ხელით არაფრის ჩართვა არ სჭირდება.

თავი 3 გატანები

ერთადერთი გვერდი, სადაც ფული მოძრაობს. ზემოთ – რაც პასუხს ელოდება, ქვემოთ – რაც უკვე გავიდა, დღეების მიხედვით დაჯგუფებული.



მოთხოვნის ბარათი ბარათი + ღილაკები

რას ხედავ. თითო ღია მოთხოვნა ცალკე თეთრ ბარათზე: მძღოლის სახელი და მოთხოვნის დრო, მარჯვნივ – თანხა, რომელიც ანგარიშზე მიდის, და მის ქვეშ წვრილად „ბალანსიდან: X · საკომისიო Y · ჩემი დანამატი Z". ქვემოთ IBAN, შემდეგ ერთი ხაზი: „BOG – მაშინვე" (მწვანე) ან „სხვა ბანკი – RTGS საათებში".

რას აკეთებს. საკომისიოს ზოლი ღილაკია – დაწკაპუნებაზე ბუფერში იწერება გადარიცხვის დანიშნულება („GoPay commission …"), რომელიც ბანკში უნდა ჩასვა. ქვემოთ ღილაკი „უარყოფა" ხსნის მიზეზის ველს და მეორე, წითელ „უარყოფას" – მხოლოდ მისი დაჭერის შემდეგ უბრუნდება თანხა მძღოლს ბალანსზე.

როდის გამოვადგება. ყოველი მოთხოვნისას. ავტომატურ რეჟიმში დადასტურების ღილაკი აღარ არის – ხელს ბანკის აპლიკაციაში აწერ, ბალანსი კი თავისით სწორდება.

ცარიელი მდგომარეობა შეტყობინება



რას ხედავ. ხატულა და ერთი წინადადება: „ახალი მოთხოვნა არ არის."

რას აკეთებს. არაფერს აკეთებს – ეს იმის დასტურია, რომ ყველა მოთხოვნა დამუშავებულია და გვერდი არ ჩავარდნილა.

როდის გამოვადგება. თუ ამას ხედავ, ამ გვერდზე საქმე აღარ გაქვს.

გატანები

დღის ჯგუფი — გახსნილი ჩამოსაშლელი სია



რას ხედავ. ზედა ზოლში დღის სახელი („დღეს", „გუშინ" ან თარიღი), გატანების რაოდენობა და დღის ჯამი. ქვემოთ თითო სტრიქონი: მძღოლი, დრო, ნიშნები და თანხა.

რას აკეთებს. ზოლი ღილაკია — კეცავს და შლის დღეს. ბოლო დღე თავიდანვე გახსნილია; რასაც შენ გახსნი ან დაკეც, იმის შემდეგ შენი არჩევანი მოქმედებს.

როდის გამოგადგება. როცა კითხვაა „დღეს რა გავიდა" და არა „საერთოდ რა მოხდა".

დღის ზოლი — დაკეცილი ღილაკი

რას ხედავ. ისარი, თარიღი, რიცხვი ნაცრისფერ ბეჯში და დღის ჯამი.

რას აკეთებს. დაწკაპუნება ხსნის დღეს. ისარი ბრუნავს, რომ ცხადი იყოს, სია გაიშალა თუ დაიკეცა.

როდის გამოგადგება. გრძელი ისტორიის სწრაფად გადათვალიერებისას.

სტრიქონის ნიშნები ნიშნები

რას ხედავ. თითო გატანის სტრიქონზე ორიდან ოთხ პატარა ნიშანს ნახავ.

რას აკეთებს. „GoPAY-თ გატანილი" — მოთხოვნა აპლიკაციიდან მოვიდა. „ხელით გატანილი" — თანხა Yandex-ში ხელით ჩაწერე. „საკომისიო X ₾" მწვანე ნიშნით — ამ გატანის საკომისიო უკვე შემოვიდა; ნაცრისფერი — ჯერ არა. „საკომისიოს გარეშე" — ეს გატანა საკომისიოს არ ექვემდებარება. სტატუსები: ბანკში მომზადებული · გაგზავნილი · გადახდილი · ჩავარდა.

როდის გამოგადგება. როცა ეძებ, რომელი გატანის საკომისიო არ დაგიფარავს.

„მინდობილი პირი" — ბენეფიციარის ნიშანი ნიშანი IBAN-ის ქვეშ

რას ხედავ. ზოგიერთ მოთხოვნაზე IBAN-ის ქვეშ ჩნდება ჩარჩოიანი ხაზი: „მინდობილი პირი: სახელი გვარი".

რას აკეთებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ანგარიში მძღოლის არ არის — ის სხვის ანგარიშზე გაიტანს თანხას (ცოლის, მშობლის). ბანკში მიმავალ დოკუმენტში ბენეფიციარად სწორედ ეს სახელი და ამ ადამიანის პირადი ნომერი იწერება, არა მძღოლის — ამიტომ ბანკის შემოწმება (CheckInn) ამ პირზე ხდება.

როდის გამოგადგება. ხელმოწერამდე. ეს ის ერთი ხაზია, რომელიც უცნობ სახელზე გადარიცხვას ხსნის — თუ ვერ ცნობ, ჯერ მძღოლს ჰკითხე და მერე მოაწერე.

„გაგზავნილი, ბალანსი ჯერ არ ჩამოჭრილა" წითელი ბლოკი

რას ხედავ. წითელჩარჩოიანი სია გვერდის თავში.

რას აკეთებს. აქ ხვდება გატანა, რომლის თანხაც ბანკიდან უკვე გავიდა, მაგრამ Yandex-ის ბალანსი ჯერ არ შესწორებულა. სისტემა თავად ცდილობს გასწოროს; სია იცლება, როგორც კი მოხერხდება.

როდის გამოგადგება. თუ ჩანაწერი დიდხანს რჩება — ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ჩვენთან დაკავშირება ღირს.

თავი 4 რემი საკომისიო

პარკის შემოსავალი მგზავრობებიდან. ციფრები Yandex-ის საკუთარი ჩანაწერებიდან იკითხება – იმავე პროცენტს ხედავს მძღოლი თავის პროფილზე.



ოთხი ფილა ბარათი



რას ხედავ. „შენი საკომისიო" (ყვითელი) – რამდენი დარჩა პარკს. „მგზავრობის ბრუნვა" – რამდენი გაატარეს მძღოლებმა. „საშუალო განაკვეთი" – რა პროცენტია ეს ბრუნვიდან. „მგზავრობა" (შავი) – რამდენი მგზავრობაა ჯამში.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. განაკვეთი არ არის შენ მიერ ჩაწერილი რიცხვი – ის ყოველი მგზავრობიდან რეალურად ჩამოჭრილი თანხიდან გამოითვლება.

როდის გამოგადგება. როცა გინდა შეამოწმო, სამუშაო წესი ისე მუშაობს თუ არა, როგორც ფიქრობდი.

მძღოლებით / დღეებით ჩანართები

რას ხედავ. ორი ჩანართი, თითოეულთან ჩანაწერების რაოდენობა.

რას აკეთებს. ერთსა და იმავე თანხას ორ ჭრილში აჩვენებს: ვინ შემოიტანა და როდის. გვერდი არ იტვირთება თავიდან.

როდის გამოგადგება. „მძღოლებით" – როცა ადამიანს ეძებ. „დღეებით" – როცა დღეს ეძებ.

რემი საკომისიო

მძღოლის სტრიქონი

სია-ბმული



რას ხედავ. ფოტო, სახელი, ქვემოთ – მგზავრობების რაოდენობა, ბრუნვა და პროცენტი; მარჯვნივ – რამდენი შემოიტანა პარკს.

რას აკეთებს. სტრიქონი ბმულია – ხსნის მძღოლის ბარათს.

როდის გამოგადგება. თვის ბოლოს, საუკეთესო და ჩამორჩენილი მძღოლების გამოსაყოფად.

„N მძღოლის მონაცემი ვერ წაიკითხა"

ყვითელი შენიშვნა

რას ხედავ. ყვითელი ზოლი ფილების ქვეშ.

რას აკეთებს. თუ Yandex რომელიმე მძღოლის მონაცემს ვერ დააბრუნებს, ის ჯამებში არ შედის – და ეს ცხადად წერია. ანგარიში, რომელიც ჩუმად გამოტოვებს მძღოლს, პარკს რეალურზე პატარას აჩვენებდა.

როდის გამოგადგება. თუ ხშირად ხედავ – გვაცნობე, ეს Yandex-ის მხრიდან შეზღუდვას ნიშნავს.

თავი 5 მძღოლები

/ad/drivers

პარკის სრული შემადგენლობა, პირდაპირ Yandex-იდან. სტატუსები ცოცხალია – ვინ არის ხაზზე, ვინ შეკვეთაშია და ვინ გათავისუფლდა.



ყველა · აქტიური · ოფლაინ · გათავისუფლებული ჩანართები

რას ხედავ. ოთხი ჩანართი, თითოეულთან რიცხვი.

რას აკეთებს. ეს დაყოფაა და არა ფილტრი: ყოველი მძღოლი ზუსტად ერთ ჩანართშია. „ყველა" მთლიან სიას აჩვენებს, რომ ძებნისას არავინ დაიკარგოს. გვერდი იხსნება „აქტიურზე" – ერთადერთი კითხვა, რომელსაც ჩატვირთვისთანავე სვამ.

როდის გამოგადგება. დღის დასაწყისში – „აქტიური". თანამშრომლის მოსაძებნად – „ყველა".

ჩიპები და ძებნა ნიშნები + ველი



რას ხედავ. სამი თეთრი ჩიპი – რამდენია შეკვეთაში, დაკავებული და თავისუფალი – და ქვემოთ საძებნი ველი.

რას აკეთებს. ჩიპები მხოლოდ ჰყოფს „აქტიურის" რიცხვს: რვა ონლაინი შეიძლება რვავე უკვე მგზავრობაში იყოს. ველი ეძებს სახელით, ნომრით ან მეილით და ფილტრავს იმ ჩანართს, რომელზეც დგახარ.

როდის გამოგადგება. როცა თავისუფალ მძღოლს ეძებ და არა უბრალოდ ონლაინს.

მძღოლები



მძღოლის ბარათი ბარათი-ბმული

რას ხედავ. ფოტო წერტილით (მწვანე – შეკვეთაში ან ონლაინ, ყვითელი – დაკავებული, ნაცრისფერი – ოფლაინ), სახელი, ნომერი, სტატუსის წარწერა; მარჯვნივ – ბალანსი და ვალუტა; ქვედა ზოლში – სერვისი, მანქანა, სახელმწიფო ნომერი და ტარიფის კლასები.

რას აკეთებს. მთელი ბარათი ბმულია – ხსნის მძღოლის სრულ ბარათს. უარყოფითი ბალანსი წითლდება.

როდის გამოგადგება. როცა ერთი ადამიანის მდგომარეობა გინდა ერთი შეხედვით.

თავი 6 მძღოლის ბარათი

/ad/drivers/{id}

ერთი მძღოლის სრული სურათი: ვინ არის, რამდენი აქვს, რა გამოიმუშავა და რაზე დაიხარჯა. მარცხნივ ბარათი და კალენდარი, მარჯვნივ აქტივობა.

პირადი ბარათი ბარათი + ღილაკი

რას ხედავ. ფოტო, სახელი, ნომერი, სერვისის ნიშანი; ქვემოთ ბალანსი ფერად ველში – მწვანე დადებითზე, წითელი უარყოფითზე. კიდევ ქვემოთ ოთხი ხაზი: გამომუშავებული, პარკის საკომისიო პროცენტით, გატანები რაოდენობით და გატანის საკომისიო.

რას აკეთებს. ფოტო ღილაკია – კამერის ხატულაზე დაწკაპუნება ხსნის ორ გზას: Yandex-ის დისპეტჩერიდან დაკოპირებული სურათის მისამართის ჩასმა ან ფაილის ატვირთვა. უკვე დაყენებული ფოტოს წასაშლელად ქვემოთ წითელი ბმულია.

როდის გამოგადგება. დავის დროს – გამომუშავებული და გატანილი ერთსა და იმავე ფანჯარაზეა გამოთვლილი, ამიტომ ერთმანეთს ედრება.



კალენდარი კალენდარი

რას ხედავ. ორი თვის ბადე; დღეები, როცა მძღოლი მუშაობდა, გამოკვეთილია.

რას აკეთებს. დღეზე დაწკაპუნება ავიწროებს ორივე ჩანართს იმ დღემდე. თავზე შავი ზოლი ჩნდება არჩეული დღით, მგზავრობების რაოდენობით და თანხით; მისი „×" ხსნის ფილტრს.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი ამბობს „იმ ოთხშაბათს ეს არ მქონდა" – ერთი დაწკაპუნება და ხედავ.

ტრანზაქციები / მგზავრობები ჩანართები

რას ხედავ. ორი ჩანართი ჩანაწერების რაოდენობით.

რას აკეთებს. „ტრანზაქციები" ფულის ყოველ მოძრაობას აჩვენებს, „მგზავრობები" – მარშრუტებს. თუ დღე არჩეულია, ორივე ჩანართი ამ დღეზეა შევიწროებული.

როდის გამოგადგება. „რატომ დამაკლდა" – ტრანზაქციები. „სად იყო" – მგზავრობები.

მძღოლის ბარათი

გახსნილი მგზავრობა ჩამოსაშლელი + ღილაკი

რას ხედავ. დაკეცილ სტრიქონზე წერია „მგზავრობა · N" და წმინდა თანხა. გახსნისას ჩნდება ყველა ხაზი, რომლისგანაც ეს თანხა შედგა: Yandex-ის საკომისიო, პარკის საკომისიო, დღგ, ბარათით გადახდილი.

რას აკეთებს. სტრიქონი ღილაკია. ქვემოთ „მარშრუტი და დეტალები" ხსნის მგზავრობის გვერდს რუკით. პლიუსი და მინუსი პირდაპირ Yandex-ის ჩანაწერიდანაა — ჩვენ არაფერს ვამრგვალებთ.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი კითხულობს, რატომ მიიღო თოთხმეტი ლარის მგზავრობაზე თორმეტი.

თავი 7 მგზავრობა

/ad/drivers/{id}/orders/{id}

ერთი შეკვეთის სრული ამბავი: სად წავიდა, რამდენ ხანს, რით გადაიხადა მგზავრმა და ვის რა შერჩა.



მარშრუტი რუკაზე



რას ხედავ. ნამდვილი ტრეკი რუკაზე, დასაწყისი და დასასრული აღნიშნული.

რას აკეთებს. ხაზი Yandex-ის ტელემეტრიიდანაა – და არა ორ წერტილს შორის გავლებული სწორი. რუკა ზუმდება და ჩოჩავს.

როდის გამოგადგება. როცა მარშრუტის რეალურობა უნდა შეამოწმო.

მისამართები



რას ხედავ. ყვითელი წრე – აყვანის ადგილი; ჭადრაკული დროშა – ჩამოსვლის.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. თუ მგზავრობას რამდენიმე გაჩერება ჰქონდა, ყველა ჩამოთვლილია რიგით.

როდის გამოგადგება. მისამართის დასაზუსტებლად, სანამ მძღოლს დაურეკავ.

მგზავრობა

მანძილი · ხანგრძლივობა · გადახდა ბარათი

მანძილი	ხანგრძლივობა	გადახდა
4.2 კმ	22 წთ	ნაღდი

რას ხედავ. სამი ფილა: კილომეტრი, წუთი და გადახდის მეთოდი.

რას აკეთებს. ხანგრძლივობა სტატუსების ქრონოლოგიიდან ითვლება და არა დაჯავშნის დროიდან – Yandex ამ ორს ყოველთვის მოსალოდნელი თანმიმდევრობით არ აწერს.

როდის გამოგადგება. როცა აფასებ, ტარიფი მანძილს შეესაბამებოდა თუ არა.

თანხის დაშლა სია

ნაღდი მგზავრისგან	+9.20 GEL
Yandex-ის საკომისიო	-0.92 GEL
დღგ საკომისიოზე	-0.16 GEL
პარკის საკომისიო	-0.09 GEL
შენ დაგრჩა	+8.02 GEL

რას ხედავ. ყოველი ხაზი ცალკე: რა შემოვიდა და რა ჩამოიჭრა; ბოლოში შავი ხაზის ქვემოთ – წმინდა.

რას აკეთებს. პლიუსი მწვანეა, მინუსი წითელი. ჯამი ხაზების შეკრებაა და არა ცალკე მიღებული რიცხვი, ამიტომ ყოველთვის ემთხვევა.

როდის გამოგადგება. ეს ის ეკრანია, რომელსაც მძღოლს აჩვენებ, როცა თანხაზე კამათობთ.

თავი 8 GOPAY-ის მძღოლები

მძღოლები, რომლებიც GoPAY-დან შემოვიდნენ შენს პარკში. დისპეტჩერში ხელით დამატებულები აქ არ ჩანს. ეს გვერდი ჩვენივე ბაზიდან იკითხება, ამიტომ Yandex-ის ხარვეზის დროსაც პასუხობს.



ხუთი ფილა ბარათი



რას ხედავ. რამდენი შემოვიდა GoPAY-დან, მათი ჯამური ბალანსი, გამომუშავებული 30 დღეში, გატანების ჯამი რაოდენობით და გატანის საკომისიო.

რას აკეთებს. ყოველ ციფრს თავისი ფერი აქვს და იგივე ფერი ქვემოთ, თითოეული მძღოლის ბარათზეც მეორდება – რომ თვალმა ერთი ციფრი გვერდზე ბოლომდე გაჰყვეს.

როდის გამოგადგება. როცა აფასებ, რამდენად გამართლდა GoPAY-ით მოზიდვა.



მძღოლის ბარათი ბარათი-ბმული

რას ხედავ. ფოტო, სახელი, ნომერი, რეგისტრაციის თარიღი; მარჯვნივ ბეჯი – როდის იყო ბოლოს აქტიური. ქვემოთ ოთხი ფერადი უჯრა: ბალანსი, გამომუშავებული, გატანები, საკომისიო.

რას აკეთებს. ბარათი ხსნის მძღოლის სრულ ბარათს. ბეჯი მწვანედან ნაცრისფერზე გადადის, თუ ორ კვირაზე მეტია არ გამოჩენილა – ჩუმად წასული მძღოლი ასე თვალში ხვდება.

როდის გამოგადგება. ყოველ ორ კვირაში – ვინ გაქრა და ვის უნდა დაურეკო.

თავი 9 უცხოელი მძღოლები

2026 წლის 1 მარტიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში მუშაობისთვის სჭირდება შრომითი საქმიანობის სპეციალური უფლება, სამუშაო ბინადრობის ნებართვა ან D1 ვიზა. მგზავრთა გადაყვანასა და კურიერულ მომსახურებაში 2026 წლის კვოტა ნულია (მთავრობის №70 დადგენილება), ამიტომ ახალი უფლების მიღება ამ სფეროში პრაქტიკულად შეუძლებელია – გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა. ჯარიმა არალეგალურად დასაქმებულ თითო პირზე – 2 000 ₾ – ავტოპარკსაც ეკისრება, არა მხოლოდ მძღოლს. ეს გვერდი იმისთვისაა, რომ გადაწყვეტილება შენ მიიღო, დოკუმენტების ნახვის შემდეგ.



კანონის ბლოკი

ყვითელი ბარათი გვერდის თავში

რას ხედავ. მოკლე შეჯამება: რა სჭირდება უცხოელს, რა კვოტაა 2026-ში და რა ჯარიმაა.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. ქვემოთ თეთრ ბლოკში ცალკეა გამოტანილი მთავარი შეზღუდვა: „GoPay ვერ აჩერებს მძღოლს Yandex-ში" – აქ დაბლოკილი მძღოლი GoPay-ში ვერ შედის და ვერ იტანს ფულს, მაგრამ შეკვეთებს კვლავ იღებს.

როდის გამოგადგება. პირველად – რომ იცოდე, რას აკეთებს ეს გვერდი და რას არა.

მძღოლის ბარათი

ბარათი + ღილაკები

რას ხედავ. თითო უცხოელი მძღოლი ცალკე ბარათზე: სახელი, ნომერი, მოქალაქეობა, სტატუსის ბეჯი. ჩარჩო წითელია, სანამ დაბლოკილია, და მწვანე დადასტურების შემდეგ.

რას აკეთებს. ბარათზე ჩანს რა აკლია („პასპორტი", „სამართლებრივი საფუძველი"), ატვირთული დოკუმენტების სია ვადებით, და – თუ უარი უკვე თქვი – შენი მიზეზი.

როდის გამოგადგება. როცა ახალი უცხოელი მძღოლი დაემატა ან ვადა გასდის ნებართვას.

დოკუმენტის „ნახვა"

ღილაკი

რას ხედავ. თითო ატვირთულ დოკუმენტთან პატარა ღილაკი.

რას აკეთებს. ხსნის ფაილს ახალ ჩანართში. ეს ფაილები დახურულ დისკზეა და მისამართით ვერავინ იპოვის – ბმული მუშაობს მხოლოდ შენთვის, შენივე პარკის მძღოლებზე.

როდის გამოგადგება. ყოველთვის დადასტურებამდე – გადაწყვეტილება დოკუმენტის ნახვის გარეშე გადაწყვეტილება არ არის.

უცხოელი მძღოლები

დაადასტურება

შავი ღილაკი

რას ხედავ. ბარათის ბოლოში.

რას აკეთებს. მძღოლს უხსნის GoPay-ს: შედის კაბინეტში და შეუძლია თანხის გატანა. ჩანაწერი რჩება – ვინ და როდის დაადასტურა.

როდის გამოგადგება. როცა დოკუმენტები ნახე და დარწმუნდი, რომ მოქმედია და ამ მძღოლისაა.

უარყოფა

წითელი ღილაკი + მიზეზი

რას ხედავ. ხსნის ტექსტის ველს. მიზეზის გარეშე ღილაკი არ მუშაობს.

რას აკეთებს. მიზეზს მძღოლი თავის ეკრანზე სიტყვასიტყვით ხედავს. ახალი დოკუმენტის ატვირთვა უარს ასუფთავებს და მძღოლი ისევ რიგში დგება – უარი სამუდამო არ არის.

როდის გამოგადგება. როცა ნებართვა ვადაგასულია, სხვა ადამიანისაა, ან საერთოდ სხვა დოკუმენტია.

„მოქალაქეობა მითითებული არ აქვს"

ნაცრისფერი შენიშვნა

რას ხედავ. გვერდის თავში, თუ ასეთი მძღოლები გყავს.

რას აკეთებს. ესენი ამ ცვლილებამდე დარეგისტრირდნენ – მაშინ მოქალაქეობას არ ვეკითხებოდით. ისინი დაბლოკილი არ არიან: მთელი არსებული შემადგენლობის გამორთვა უცნობი ველის გამო თავად იქნებოდა ავარია. მაგრამ ხელით გადამოწმება საჭიროა.

როდის გამოგადგება. პირველივე ჯერზე – შეადგინე სია და გადაამოწმე.

თავი 10 ჩემი წესები

პარკის საკუთარი წესები, რომელსაც მძღოლი რეგისტრაციისას ეთანხმება. ისინი ემატება GoPay-ის საერთო წესებს და არ ცვლის მათ – მძღოლი ორ ცალკე ჩამრთველს ნიშნავს. მთავარი, რასაც ეს გვერდი გაძლევს, ტექსტი კი არა, მტკიცებულებაა: ვინ, როდის და რომელ ვერსიაზე დათანხმდა.



ენების ჩანართები ღილაკები დროშებით

რას ხედავ. ექვსი ჩანართი დროშითა და ენის სახელით. რომელ ენაზეც ტექსტი უკვე დაწერილია, იქ პატარა წერტილი ჩნდება.

რას აკეთებს. გადართავს რედაქტორს იმ ენაზე. ყველა ენის შევსება საჭირო არ არის – თუ მხოლოდ ქართულს დაწერ, სხვა ენის მძღოლი ქართულს ნახავს და არა ცარიელ გვერდს.

როდის გამოგადგება. დაწერე ჯერ ქართულად, დანარჩენი მოგვიანებით.

ტექსტის ველი რედაქტორი

რას ხედავ. დიდი ველი, ქვემოთ სინტაქსის ერთხაზიანი შეხსენება.

რას აკეთებს. სამი ნიშანი და მეტი არაფერი: „# ტექსტი" – დიდი სათაური, „## ტექსტი" – პატარა, „- ტექსტი" – სიის პუნქტი. დანარჩენი ჩვეულებრივი აბზაცია. HTML განზრახ არ მუშაობს – ტექსტი ტექსტად რჩება და მძღოლის ბრაუზერში კოდი ვერ მოხვდება.

როდის გამოგადგება. როცა წესებს წერ ან ასწორებ.

გამოქვეყნება შავი ღილაკი

რას ხედავ. ღილაკზე მომდევნო ვერსიის ნომერი წერია.

რას აკეთებს. შენახვა ახალ ვერსიას აქვეყნებს, ძველს არ შლის. ეს ვრცელდება მხოლოდ ახალ მძღოლებზე: ვინც უკვე დეთანხმა, იმ ვერსიაზე რჩება და თავიდან დათანხმებას არ სთხოვენ. ძველი ტექსტიც კითხვადი რჩება – თორემ დათანხმება არაფრის მტკიცებულება არ იქნებოდა.

როდის გამოგადგება. ყოველი ცვლილებისას. თუ გინდა, რომ ძველ მძღოლებსაც შეეხოს – ეს ცალკე გადაწყვეტილებაა და ჩვენთან უნდა შეათანხმო.

ჩემი წესები

დათანხმებები სია

რას ხედავ. რომელ ვერსიაზე რამდენი მძღოლი დათანხმდა; მიმდინარე ვერსია ცალკე აღნიშნულია.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. ეს არის ის ციფრი, რომელიც გიჩვენებს, რომ რედაქტირება უკვე არსებულ მძღოლებს არ შეხებია.

როდის გამოგადგება. ცვლილების შემდეგ – რომ დაინახო, ვინ რომელ ტექსტზეა.

თავი 11 მანქანები

ავტოპარკი Yandex-იდან: რა კლასებში დგას თითოეული მანქანა და ვის აქვს მიბმული. კლასების შეცვლა აქედან პირდაპირ Yandex-ში ჩაიწერება.



ფილტრები ჩანართები + ნიშნები + ველი



რას ხედავ. ზემოთ ტარიფის კლასები რიცხვებით; ქვემოთ მარკების ჩიპები; შემდეგ საძებნი ველი, ღილაკი „მიუბმელი", დალაგების სია და „გასუფთავება".

რას აკეთებს. კლასი და მარკა ერთმანეთს ავიწროებს, ჩამნაცვლებლები არ არიან. „მიბმულის" ღილაკი გადამრთველია – მხოლოდ ის მანქანები რჩება, რომელსაც მძღოლი არ ჰყავს. „გასუფთავება" მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა რაიმე ფილტრი აქტიურია.

როდის გამოგადგება. „მიუბმელი" – ყოველ ორშაბათს: მანქანა მძღოლის გარეშე შემოსავალს არ იძლევა.



მანქანის ბარათი ბარათი

რას ხედავ. მარკა და მოდელი, სახელმწიფო ნომერი, ტარიფის კლასები ყვითელ ნიშნებში; ქვედა ზოლში – ვის აქვს მიბმული.

რას აკეთებს. მფლობელის სახელი ბმულია მძღოლის ბარათზე. თუ არავინაა, წერია „მიუბმელი".

როდის გამოგადგება. როცა ეძებ, რომელი მანქანით დადის კონკრეტული მძღოლი.

მანქანები



კლასების რედაქტორი

ღილაკი + ჩიპები

რას ხედავ. ღილაკი „კლასები" ბარათის მარჯვენა კუთხეში ხსნის ჩიპების რიგს; არჩეული ჩიპი ყვითელია გამშვები ნიშნით.

რას აკეთებს. ჩიპი ირთვება და ითიშება დაწკაპუნებით, შემდეგ „შენახვა" კლასებს პირდაპირ Yandex-ში წერს. ერთი კლასი მაინც არჩეული უნდა იყოს – სხვა შემთხვევაში შენახვა უარს ამბობს. „გაუქმება" ცვლილებას აუქმებს.

როდის გამოგადგება. როცა მანქანა კომფორტში გინდა აიყვანო ან პირიქით – დისპეტჩერში შესვლის გარეშე.

თავი 12 გაქირავება

/ad/rentals

შენი საგაქირავებო მანქანები. ეს სია Yandex-ს არ კითხულობს – პარკი აქირავებს ისეთ მანქანასაც, რომელიც დისპეტჩერში საერთოდ არ დგას – ამიტომ გვერდი Yandex-ის ხარვეზის დროსაც მუშაობს.





განაცხადები ღილაკი + ბეჯი

რას ხედავ. ღილაკი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში; ყვითელი ბეჯი ჩნდება, თუ პასუხგაუცემელი განაცხადია.

რას აკეთებს. ხსნის განაცხადებისა და ხელშეკრულებების გვერდს.

როდის გამოგადგება. როგორც კი ბეჯზე ციფრს დაინახავ.

ავტომობილის დამატება ღილაკი

რას ხედავ. შავი, სრული სიგანის ღილაკი სიის თავზე.

რას აკეთებს. ხსნის ცალკე გვერდს ახალი განცხადების ფორმით – თვრამეტი ველი ერთ სიაში პანელს კი არა, გვერდს სჭირდება.

როდის გამოგადგება. ახალი მანქანის დამატებისას.

გაქირავება

მანქანის ბარათი ბარათი + ღილაკები



რას ხედავ. მარკა, მოდელი, წელი; ქვემოთ ქალაქი, დღიური და კვირის ფასი, დეპოზიტი და დასვენების დღე. მარჯვნივ სტატუსი: „გამოქვეყნებული" (მწვანე), „დამალული" (ნაცრისფერი) ან „გაქირავებული" (ყვითელი). შუაში ფოტოების რიგი.

რას აკეთებს. ფოტოები თითით ან თაგვით ლაგდება – პირველი ხდება მთავარი, რომელსაც მძღოლი სიაში ხედავს; ვარსკვლავი ნებისმიერს მთავარად აქცევს, „×" შლის. ქვედა ზოლში: „რედაქტირება" ხსნის ფორმას; „გამოქვეყნება" აჩენს განცხადებას აპლიკაციაში (ფოტოს გარეშე ღილაკი გამორთულია); „დამალვა" აბრუნებს უკან; „წაშლა" შლის განცხადებას.

როდის გამოგადგება. ყოველი მანქანის დამატების და ფასის შეცვლის შემდეგ.

თავი 13 ავტომობილის დამატება

/ad/rentals/create

ერთი ფორმა ხუთ ნაწილად. იგივე ფორმა იხსნება რედაქტირებაზეც.

1 · ავტომობილი ფორმა



რას ხედავ. მარკა და მოდელი ჩამოსაშლელი ძებნით, გამოშვების წელი, სახელმწიფო ნომერი, გადაცემათა კოლოფი, საწვავი, გარბენი, ძრავის მოცულობა, კარები, ადგილები, ფერი და ქალაქი.

რას აკეთებს. მარკა და მოდელი სავალდებულოა — მოდელის სია მარკის არჩევის შემდეგ ცოცხლდება. ქალაქის სიაში ბოლო პუნქტია „სხვა (ჩაწერე)", რომ პატარა ქალაქის პარკი უცხო ქალაქის დაწერას არ იძულებოდეს.

როდის გამოგადგება. ქალაქი ისაა, რითაც მძღოლი ეძებს — ამიტომ სავალდებულოა.

2 · ფასი ფორმა



რას ხედავ. დღიური ქირა, დეპოზიტი, ჩამოქრის პერიოდი და ჩამოქრის საათი. ქვემოთ ყვითელი ზოლი ითვლის, კვირაში რამდენს გადაიხდის მძღოლი.

რას აკეთებს. ფასი ყოველთვის დღიურია; პერიოდი მხოლოდ იმას წყვეტს, როდის ჩამოიქრება დაგროვილი. დეპოზიტს მძღოლი ბარათით იხდის შენს BOG-ის ანგარიშზე — ცარიელი ველი ნიშნავს „დეპოზიტის გარეშე".

როდის გამოგადგება. ფასის შეცვლისას — ყვითელი ზოლი მაშინვე გაჩვენებს კვირის თანხას.

ავტომობილის დამატება

3 · დასვენების დღე ღილაკები + სია



რას ხედავ. სამი ღილაკი: დასვენების გარეშე, კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ. არჩეული ყვითელ ფონზეა.

რას აკეთებს. კვირეულზე ჩნდება დღის ასარჩევი სია, თვიურზე – რიცხვის. ამ დღეს მძღოლს ქირა არ ერიცხება, მუშაობა კი შეუძლია. თუ თვეში ეს რიცხვი არ არსებობს, თვის ბოლო დღე ითვლება.

როდის გამოგადგება. როცა კონკურენტს „ერთი დღე უფასოდ" აქვს და შენც იგივე გინდა.

4 · გაჯაუხჯელობა სია



რას ხედავ. ერთი ჩამოსაშლელი: 6 საათიდან ერთ კვირამდე.

რას აკეთებს. ჩამოჭრის დღიდან ეს არის მოცდის ვადა. მისი გასვლის შემდეგ მძღოლს თანხის გატანა ეკეტება – საიტზეც და აპლიკაციაშიც – სანამ ვალს არ დაფარავს.

როდის გამოგადგება. თავიდანვე – ეს არის ერთადერთი ბერკეტი, რომელიც ქირას თავისით აკრებინებს.

5 · ფოტოები ატვირთვა



რას ხედავ. წყვეტილჩარჩოიანი არე „გადმოათრიე ფოტოები აქ" და ღილაკი „ფაილის არჩევა".

რას აკეთებს. ფოტოები გადმოთრევითაც აიტვირთება. პირველი ხდება მთავარი. ფოტოს გარეშე განცხადება ვერ გამოქვეყნდება – შენახვა შესაძლებელია, გამოქვეყნება არა.

როდის გამოგადგება. ყოველთვის – უფოტოო განცხადებას მძღოლი არ ხსნის.

ავტომობილის დამატება

პირობები და შენახვა ველი + ღილაკი



რას ხედავ. თავისუფალი ტექსტის ველი პირობებისთვის და ბოლოს შენახვის ღილაკი.

რას აკეთებს. აქ ჩაწერილს მძღოლი განცხადებაში წაიკითხავს. შენახვის შემდეგ მანქანა სიაში „დამალული" სტატუსით ჩნდება – გამოქვეყნება ცალკე ნაბიჯია.

როდის გამოგადგება. თუ გაქვს წესები, რომელიც ველებში არ ჯდება – მაგალითად, ქალაქგარეთ გასვლა.

თავი 14 მანაცხადები და ხელშეკრულებები

/ad/rentals/requests

ორი სია ერთ გვერდზე: ვინ ითხოვს მანქანას და ვის უკვე უზის. ზემოთ მოქმედი ხელშეკრულებებია – ისინი დღეს იძლევიან ან ხარჯავენ ფულს.

მოქმედი ხელშეკრულების ბარათი ბარათი + ღილაკი

რას ხედავ. მანქანა, მძღოლი და სტატუსი; ქვემოთ სამი ციფრი – დღიური ქირა, დავალიანება (წითლდება, თუ ნულზე მეტია) და დეპოზიტი თავისი მდგომარეობით.

რას აკეთებს. ღილაკი „ხელშეკრულების დასრულება" ხსნის მიზეზის ველს და გამშვებ უჯრას „ავტომობილი დაბრუნებულია". „დასრულება" ხურავს ხელშეკრულებას, „გაუქმება" უკან აბრუნებს.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი მანქანას აბრუნებს – და როცა ხედავ, რომ დავალიანება იზრდება.

მანაცხადის ბარათი ბარათი + ღილაკები

რას ხედავ. მანქანა, მძღოლი, სტატუსის ნიშანი – „new" ყვითელია, „accepted" მწვანე – და მძღოლის შენიშვნა, თუ დაწერა.

რას აკეთებს. ღილაკი „პასუხის გაცემა" ხსნის ტექსტის ველს და სამ ღილაკს: „თანხმობა" ქმნის ხელშეკრულებას, „უარი" ხურავს განაცხადს, „×" ხურავს მხოლოდ ველს. დაწერილი პასუხი მძღოლს მიდის.

როდის გამოგადგება. ყოველი ახალი განაცხადისას – პასუხის დაყოვნება მძღოლს სხვა პარკში მიიყვანს.

ცარიელი მდგომარეობა შეტყობინება

განაცხადები

ჯერ განაცხადი არ შემოსულა.

რას ხედავ. „ჯერ განაცხადი არ შემოსულა."

რას აკეთებს. არაფერს აკეთებს. თუ განცხადება გამოქვეყნებულია და კვირაზე მეტია ცარიელია – ფასი ან ფოტოებია გადასახედი.

როდის გამოგადგება. ცარიელი სია პრობლემა არ არის – ცარიელი სია გამოქვეყნებულ მანქანაზე კი არის.

თავი 15 ლიდერბორდი

მძღოლების საჯარო რეიტინგი და პრიზები. სამი დაფაა – კვირა, თვე და წელი – და თითოეული ცალკე ირთვება და ცალკე პრიზები აქვს. მარცხნივ პარამეტრებია, მარჯვნივ – თავად დაფა.





საჯარო ლიდერბორდი ჩამრთველი

რას ხედავ. ხატულა, მდგომარეობის წარწერა („მძღოლები ხედავენ" / „გვერდი დამალულია") და ღილაკი „ჩართვა" ან „გამორთვა".

რას აკეთებს. ღილაკი მაშინვე მოქმედებს – ცალკე შენახვა არ სჭირდება. ჩართვის შემდეგ ქვემოთ ჩნდება საჯარო მისამართი, რომელსაც მძღოლებს გაუზიარებ.

როდის გამოგადგება. ჩართე მაშინ, როცა პრიზები უკვე ჩაწერილი გაქვს – ცარიელი დაფა მოტივაციას არ ქმნის.

რომელი პერიოდი მუშაობს

ჩამრთველები

რას ხედავ. სამი ღილაკი – კვირა, თვე, წელი. ჩართულს **✓** უზის და შავია, გამორთულს **X** და ნაცრისფერია.

რას აკეთებს. ეს არის სამი დამოუკიდებელი დაფა, არა ერთი დაფის სამი ხედი. მძღოლი მხოლოდ მონიშნულებს ხედავს – საიტზეც და აპლიკაციაშიც. სულ ყველა ვერ გამოირთვება: ჩართული ლიდერბორდი, რომელსაც საჩვენებელი დაფა არ აქვს, გატეხილი გვერდია.

როდის გამოგადგება. დასაწყისშივე. ერთი კვირეული დაფა უფრო ცოცხალია, ვიდრე სამი, რომელსაც არავინ ადევნებს თვალს.

ღილაკები

პრიზები ფორმა + ღილაკები

რას ხედავ. სათაურში წერია, რომელი დაფის პრიზებია – მაგალითად „პრიზები · თვე". თითო სტრიქონი: მრგვალ მედალში ადგილის ნომერი, გვერდით პრიზის ტექსტი, ბოლოს წაშლის ხატულა.

რას აკეთებს. **თითოეულ დაფას თავისი სია აქვს.** ჩანართით ზემოთ აირჩევ, რომელს არედაქტირებ; „პრიზების შენახვა" მხოლოდ იმ დაფას ინახავს და დანარჩენ ორს ხელს არ ახლებს. ცარიელი ტექსტის მქონე სტრიქონი არ შეინახება.

როდის გამოგადგება. კვირის პრიზი და წლის პრიზი ერთი და იგივე არ უნდა იყოს – ეს ზუსტად ის ადგილია, სადაც ეს განსხვავება იწერება.



მიმდინარე რანგი სია + ღილაკი

რას ხედავ. ჩანართები დაფის თავზე, ქვემოთ დალაგებული სია: ადგილი, ფოტო, სახელი, მგზავრობები, პრიზის ნიშანი და ქულა.

რას აკეთებს. ჩანართი ერთდროულად ორ რამეს ცვლის – რანგსაც და ქვემოთ რედაქტირებად პრიზების სიასაც. ღილაკი „განახლება" თავიდან ითვლის რანგს; ის Yandex-ს თითო მძღოლზე კითხულობს, ამიტომ განზრახ ნელია და შეზღუდულია. ავტომატურად ისედაც ხდება ყოველ ექვს საათში, რაც გვერდის ბოლოს წერია.

როდის გამოგადგება. „განახლებას" მაშინ დააჭერ, როცა პრიზს დღესვე გასცემ და უახლესი რიგი გჭირდება.



დაფის სტრიქონი სია

რას ხედავ. ერთი მძღოლი: ადგილი, ფოტო, სახელი, მგზავრობების რაოდენობა და ქულა.

რას აკეთებს. პრიზიანი ადგილი ყვითელ ჩარჩოში დგას და პრიზის სახელი ცალკე ნიშნად ჩანს – ეს არის ის, რისთვისაც დაფა არსებობს. ნიშანზე იმ დაფის პრიზი წერია, რომელსაც ახლა უყურებ.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი კითხულობს, რა უნდა გააკეთოს პრიზისთვის.

თავი 16 საჩუქრები

„საწვავის ყუთი": მძღოლი მგზავრობებით ცდებს აგროვებს და ყუთს ხსნის. პრიზი ორია – საწვავი ან ფული.



თამაშები · მოგება · გასაცემი ბარათი

რას ხედავ. სამი ფილა. მესამე მხოლოდ მაშინ წითლდება, როცა ნამდვილად არის გასაცემი პრიზი.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. მუდმივად წითელი ფილა ისეთია, რომელსაც ერთ კვირაში ვეღარ ამჩნევ – ამიტომ ფერი მდგომარეობას მიჰყვება.

როდის გამოგადგება. ყოველ დილით – თუ „გასაცემი" ნულზე მეტია, ვიღაც შენს პასუხს ელოდება.



„საწვავის ყუთი" ჩამრთველი

რას ხედავ. იგივე ფორმის ჩამრთველი, რაც ლიდერბორდს აქვს.

რას აკეთებს. ღილაკი მაშინვე მოქმედებს და შენახულ პარამეტრებს აგზავნის – ანუ ჩართვა ნახევრად აკრეფილ რიცხვებს ვერ შეინახავს. გამორთვისას მძღოლებს „ბონუსები" საერთოდ არ უჩანთ.

როდის გამოგადგება. როცა აქცია სრულდება – გამორთე, სანამ ცდები დაგროვდება.

საჩუქრები

პარამეტრები ფორმა + ღილაკი

რას ხედავ. სამი რიცხვი: მგზავრობა ერთ შანსზე, საწვავი ლიტრებში და ფული ლარებში.

რას აკეთებს. „შენახვა" ინახავს სამივეს. ნულოვანი თანხა შესაბამის პრიზს თიშავს – ანუ შეგიძლია მხოლოდ საწვავი დატოვო ან მხოლოდ ფული.

როდის გამოგადგება. აქციის დაწყებამდე. მგზავრობების რიცხვი განსაზღვრავს, რამდენად ხშირად თამაშობენ.

მომგებიანები სია + ღილაკები



რას ხედავ. ორი ღილაკი „ყველა" და „გასაცემი" რიცხვებით; ქვემოთ სია: ხატულა (საწვავი ან ფული), სახელი, თარიღი და მოგებული პრიზი.

რას აკეთებს. ღილაკები ფილტრავს სიას. თითო სტრიქონის ბოლოს შავი ღილაკი „გავეცი" – დაწკაპუნების შემდეგ ის მწვანე „გაცემულად" იქცევა. სია ორასი ჩანაწერითაა შემოსაზღვრული.

როდის გამოგადგება. პრიზის ხელით გადაცემისთანავე – სხვა შემთხვევაში ერთი პრიზი ორჯერ გაიცემა.

თავი 17 მისიები

/ad/missions

შენი პირობა, შენი ჯილდო: მძღოლი ასრულებს – ფული ჩაერიცხება ბალანსზე და ბარათზე გადის. ლიდერბორდისგან იმით განსხვავდება, რომ აქ ერთმანეთს არ ეჯიბრებიან – პირობა ყველასთვის ერთია და ყველა ასრულებს.



მიმდინარე დაპირება · გასაცემი ჯილდო ბარათი



რას ხედავ. ორი ფილა გვერდის თავზე. პირველი – ლარებში, მეორე – რაოდენობა.

რას აკეთებს. „მიმდინარე დაპირება" არის ჯამი, რომელსაც ამ წუთში ჰპირდები ყველა მიმდინარე მისიაზე – ანუ მაქსიმუმი, რაც ამ პერიოდში შეიძლება გასცე. „გასაცემი ჯილდო" – რამდენი დასრულებული მისია გელოდება პასუხს.

როდის გამოგადგება. თვის დაწყებამდე. პირველი ციფრი უნდა იყოს თანხა, რომელიც თვის ბოლოს ნამდვილად გაქვს.

ახალი მისია ღილაკი

რას ხედავ. შავი ღილაკი მარჯვნივ, ზემოთ.

რას აკეთებს. ხსნის ფორმას გვერდის შუაში. სანამ „შენახვას" არ დააჭერ, მისია არ არსებობს და მძღოლს არაფერი უჩანს.

როდის გამოგადგება. როცა ახალ პირობას აწესებ.

მისიები

ჯაჭვური მისია ბარათი



რას ხედავ. სათაური, ქვეშ ნაცრისფერი ხაზი მისიის თვისებებით, შემდეგ დანომრილი საფეხურები – თითოეულს თავისი პირობა და ჯილდო; ბოლოს ორი მრიცხველი.

რას აკეთებს. საფეხურები თანმიმდევრობითია: მეორე მხოლოდ პირველის შესრულების შემდეგ გამოჩნდება. თუ მძღოლმა საფეხური ვერ შეასრულა, ჯაჭვი თავიდან იწყება. „მიმდინარე" არის რამდენი მძღოლი მუშაობს ახლა ამ მისიაზე, „შესრულებული" – რამდენმა დაასრულა.

როდის გამოგადგება. როცა გინდა, რომ მძღოლი თვიდან თვემდე დარჩეს – ჯაჭვი ზუსტად ამისთვისაა.

ერთი პირობა ბარათი



რას ხედავ. იგივე ბარათი, ერთი სტრიქონით: პირობა და მისი ჯილდო.

რას აკეთებს. „შეცვლა" ხსნის იმავე ფორმას. „დახურვა" მისიას ჩააქრობს – უკვე დაწყებული პერიოდი ბოლომდე მიდის და დამსახურებული ჯილდო არ ქრება.

როდის გამოგადგება. ყოველთვიური პირობისთვის, სადაც საფეხურები საჭირო არაა.

თავი 18 მისიის ფორმა

ერთი ფორმა ქმნის და ცვლის მისიას. ქვემოთ ველები იმ თანმიმდევრობით, რომლითაც გვერდზე დგას.



სათაური ველი



რას ხედავ. ერთსტრიქონიანი ველი.

რას აკეთებს. ეს არის ის, რასაც მძღოლი აპლიკაციაში დაინახავს. მოკლე და კონკრეტული სათაური („100 მგზავრობა თვეში") თავად ხსნის პირობას.

როდის გამოვადგება. ყოველთვის — სავალდებულო ველია.

აღწერა ველი



რას ხედავ. მრავალსტრიქონიანი ველი. გვერდზევე წერია, რომ მძღოლი ხედავს.

რას აკეთებს. არასავალდებულოა. აქ იმას წერ, რაც სათაურში არ ეტევა — მაგალითად, რომ პრიზი თვის ბოლოს გაიცემა.

როდის გამოვადგება. როცა პირობას ახსნა სჭირდება.

მისიის ფორმა

ტიპი · პერიოდი · სტატუსი ჩამონათვალი



რას ხედავ. სამი ჩამოსაშლელი სია.

რას აკეთებს. **ტიპი**: „ერთი პირობა" ყოველ პერიოდში მეორდება; „ჯაჭვი" საფეხურებს თანმიმდევრობით აწყობს. **პერიოდი**: კალენდარული თვე ან კვირა (ორშაბათიდან კვირამდე) – ითვლება ავტოპარკის საათით. **სტატუსი**: „აქტიური" მძღოლს უჩანს, „დრაფტი" – არა, „დაარქივებული" აღარ მოქმედებს.

როდის გამოგადგება. ტიპი და პერიოდი – შექმნისას. შემდეგ მათი შეცვლა მიმდინარე პერიოდს დაარღვევს.

ჯილდო ავტომატურად გაიცეს ჩამრთველი

რას ხედავ. ერთი ჩეკბოქსი, ქვეშ განმარტება.

რას აკეთებს. ჩართული: შესრულებისთანავე ფული თავისით ჩაირიცხება. გამორთული: ყოველი შესრულება „გასაცემი ჯილდოების" გვერდზე დაგელოდება, სანამ თავად არ დაადასტურებ.

როდის გამოგადგება. გამორთე, სანამ პირველ თვეს არ ნახავ – მერე ჩართე და აღარ დაგჭირდება ყოველდღიური პასუხი.

ვისთვის არჩევანი



რას ხედავ. ორი ღილაკი: „ყველა მძღოლისთვის" და „შერჩეული მძღოლებისთვის". მეორეზე ქვემოთ იშლება ძებნის ველი და მძღოლების სია ჩეკბოქსებით.

რას აკეთებს. შერჩევისას ჩნდება „ყველას მონიშვნა" და „გასუფთავება", და მრიცხველი ამბობს რამდენი მძღოლია არჩეული. მისია მხოლოდ მონიშნულებს უჩანთ.

როდის გამოგადგება. შერჩევა მაშინ, როცა ცალკეულ მძღოლს ამხნევებ – მაგალითად ახალბედას.

მისიის ფორმა

პირობა (ან საფეხურები) ფორმა



რას ხედავ. თითო საფეხურზე სამი ველი: მგზავრობა, გამომუშავება ₾ და ჯილდო ₾. ქვემოთ ჩეკბოქსი „ორივე პირობა უნდა შესრულდეს".

რას აკეთებს. ორივე პირობის შევსება არაა საჭირო – ერთი საკმარისია, მეორე ცარიელი დარჩება. თუ ორივეს შეავსებ, ჩეკბოქსი წყვეტს: მონიშნული ნიშნავს „ორივე ერთად", მოუნიშნავი – „რომელიმე ერთი". ჯაჭვში „+ საფეხური" ამატებს შემდეგს.

როდის გამოგადგება. ჯილდოს ციფრი ისე დაწერე, თითქოს ყველა მძღოლი შეასრულებს – ზოგჯერ ასეც ხდება.

შენახვა ღილაკი

რას ხედავ. შავი ღილაკი ფორმის ბოლოს, გვერდით „გაუქმება".

რას აკეთებს. ინახავს მისიას. აქტიური მისია მძღოლებს მაშინვე უჩნდებათ აპლიკაციაში.

როდის გამოგადგება. ბოლოს – და შემდეგ ერთხელ გადაამოწმე „მიმდინარე დაპირების" ციფრი.

თავი 19 გასაცემი ჯილდოები

/ad/missions/awards

აქ ფული მოძრაობს. მისია შესრულებულია და მძღოლი პასუხს ელოდება – თანხა ჩაირიცხება მისი Yandex-ბალანსზე, ანუ შენი ბალანსიდან, და შემდეგ ბარათზე გადის. თუ მისიას „ავტომატური გაცემა" ჩართული აქვს, აქ არაფერი ჩნდება.



ჯილდოს ბარათი ბარათი

რას ხედავ. მძღოლის სახელი, ქვეშ ერთი ხაზი – მისია, პერიოდი, შესრულებული მგზავრობები და გამომუშავება; მარჯვნივ ყვითელ ჩარჩოში თანხა.

რას აკეთებს. ეს ის ციფრებია, რომლითაც სისტემამ მისია შესრულებულად ჩათვალა – ანუ შეგიძლია გაცემამდე გადაამოწმო.

როდის გამოგადგება. ყოველ დილით, თუ სია ცარიელი არ არის.

გაცემა ღილაკი

რას ხედავ. შავი ღილაკი ბარათის ბოლოს.

რას აკეთებს. ჩარიცხავს თანხას მძღოლის ბალანსზე და მაშინვე უშვებს ბარათზე. **ეს შეუქცევადია** – გაცემული ჯილდო უკან არ ბრუნდება. ერთი ჯილდო ორჯერ ვერ გაიცემა, თუნდაც ღილაკს ორჯერ დააჭირო.

როდის გამოგადგება. მას შემდეგ, რაც ციფრებს გადახედავ.

უარი ღილაკი + ველი

რას ხედავ. ღილაკის დაჭერისას ქვემოთ იშლება ერთსტრიქონიანი ველი „მიზეზი".

რას აკეთებს. ტექსტი, რომელსაც აქ დაწერ, **მძღოლს სიტყვასიტყვით მიუვა** – SMS-ით ან აპლიკაციაში. ამიტომ ისე დაწერე, როგორც პირისპირ ეტყოდი.

როდის გამოგადგება. როცა პირობა ფორმალურად შესრულდა, მაგრამ რაღაც არ ჯდება – და ახსნა გმართებს.

გასაცემი ჯილდოები

„ჩარიცხულია, ბარათზე ვერ გავიდა" შეტყობინება

რას ხედავ. ყვითელი ზოლი ბარათზე, ღილაკების ნაცვლად.

რას აკეთებს. ფული უკვე მძღოლისაა – მის ბალანსზე ზის. ბარათზე იმიტომ არ გავიდა, რომ მძღოლს ანგარიში დამატებული არ აქვს. შენგან მოქმედება არ საჭიროებს: როგორც კი ანგარიშს დაამატებს, თანხას თავად გაიტანს.

როდის გამოვადგება. თუ გინდა, შეახსენე მძღოლს, რომ ბარათი დაამატოს.

თავი 20 შეტყობინებები

მძღოლს ორი გზით მიდის ინფორმაცია: **push** — უფასო, აპლიკაციაში, და **SMS** — ფასიანი, შენი sendsms.ge ანგარიშიდან. ეს გვერდი პანელში არ არსებობს: აქ არაფერი ირთვება, ეს იმის ახსნაა, რა როდის მიდის და რა ჯდება.

ზარი აპლიკაციაში ეკრანი

რას ხედავ. აპლიკაციის ზედა მარჯვენა კუთხეში ზარის ხატულა, წაუკითხავების რიცხვით.

რას აკეთებს. ყველა შეტყობინება ჯერ სერვერზე იწერება და მერე იგზავნება — ამიტომ დაბლოკილი ეკრანიდან ჩამოცურებული push აპლიკაციაში მაინც იპოვება. მძღოლს შეუძლია სია გაასუფთაოს.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი ამბობს „არაფერი მოსულა" — ჯერ ზარი ვნახოთ.

რა მიდის უფასოდ სია

რას ხედავ. მისიები (შესრულდა, 80%-ია, ბოლო დღეა), ლიდერბორდი (პოდიუმზე ახვედი, გადაგასწრეს), საწვავის ყუთი (ცდა დაგროვდა, გამოუყენებელი ცდა გელოდება).

რას აკეთებს. ეს ყველაფერი მხოლოდ push-ია და **არაფერი ჯდება**. ღამით — 22:00-დან 09:00-მდე — ჩერდება და დილით მიდის; დღეში მაქსიმუმ სამი მოტივაციური შეტყობინება, რომ მძღოლმა შეტყობინებები საერთოდ არ გამორთოს.

როდის გამოგადგება. არაფერი გჭირდება — ავტომატურია.

რა ჯდება SMS-ს სია

რას ხედავ. გატანა (გაიგზავნა / ვერ გაიგზავნა), ბონუსი (ჩაირიცხა / გაიგზავნა / უარი), ოპერატორის გატანა, შესვენების შეხსენება.

რას აკეთებს. ესენი **ჯერ push-ით მიდის** და SMS მხოლოდ მაშინ იგზავნება, თუ push ვერ მივიდა — მძღოლს აპლიკაცია არ აქვს, ინტერნეტი არ აქვს ან შეტყობინებები გამორთული აქვს. ანუ ტიპიური მძღოლი აღარაფერს გიჯდება.

როდის გამოგადგება. თუ ხარჯს ამოწმებ — გახსოვდეს, რომ ეს ციფრი აპლიკაციის გავრცელებაზეა დამოკიდებული.

რა იგზავნება ორივე არხით ყოველთვის სია

რას ხედავ. ორი შეტყობინება: „გატანის ანგარიში შეიცვალა" და „ახალი შესვლა".

რას აკეთებს. ეს ერთადერთი გამონაკლისია — აქ push და SMS ერთსა და იმავეს **არ** ამბობს. push აპლიკაციაში ჩნდება, ხოლო ეს შეტყობინებები არსებობს ზუსტად იმ შემთხვევისთვის, როცა ტელეფონი სხვის ხელშია და აპლიკაცია მასზე გახსნილია. SMS ის არხია, რომელიც ამას გადაურჩება.

როდის გამოგადგება. არასოდეს გამორთო — ეს მძღოლის ფულის დაცვაა.

შესვლის კოდი წესი

რას ხედავ. დადასტურების ექვსნიშნა კოდი.

რას აკეთებს. **კოდი push-ით არასოდეს იგზავნება.** push დაბლოკილ ეკრანზეც ჩნდება — ეს ზუსტად ის მექანიზმია, რომელსაც კოდმა უნდა აუაროს გვერდი. კოდი მუდამ SMS-ია და მუდამ ფასიანი.

როდის გამოგადგება. არასოდეს — ეს არჩევანი არაა.

BROADCAST — შენ არ იხდი წესი

რას ხედავ. GoPay-ის შეტყობინება ყველა მძღოლზე.

რას აკეთებს. ადრე თითო მძღოლზე თითო SMS იყო, ახლა **push-ით მიდის** და SMS მხოლოდ მათზე იხარჯება, ვისაც აპლიკაცია არ აქვს. ეს GoPay-ის ხარჯია, არა ავტოპარკის — მაგრამ იმავე პრინციპით მუშაობს.

როდის გამოგადგება. არაფერი — ინფორმაციისთვის.

თავი 21 სლაიდები

რას ხედავს მძღოლი შესვლის გვერდზე. სლაიდები თავისით ინაცვლებს; მაქსიმალური რაოდენობა გვერდზევე წერია.





სლაიდის ბარათი

ბარათი + ღილაკები

რას ხედავ. ზემოთ თავად სლაიდი ისე, როგორც მძღოლი დაინახავს; ქვემოთ რიგის ნომერი და ოთხი ღილაკი.

რას აკეთებს. ისრები „ზემოთ" და „ქვემოთ" ცვლის რიგს – პირველზე ზედა ისარი გამორთულია, ბოლოზე – ქვედა. „რედაქტირება" ხსნის ფანჯარას, „წაშლა" შლის დადასტურების შემდეგ.

როდის გამოგადგება. როცა აქციის სლაიდი დროებით პირველ ადგილზე გინდა.

სლაიდის დამატება

ღილაკი

რას ხედავ. შავი ღილაკი სიის ქვემოთ.

რას აკეთებს. ხსნის იმავე ფანჯარას ცარიელი ფორმით. მაქსიმუმის მიღწევისას ღილაკი გამოირთვება და ქვემოთ ჩნდება ახსნა.

როდის გამოგადგება. ახალი აქციის გამოცხადებისას.

სლაიდები



რედაქტორის ფანჯარა ფანჯარა

რას ხედავ. შუაში ცოცხალი გადახედვა იმ პროპორციით, რომლითაც ტელეფონი აჩვენებს; ქვემოთ სათაური, აღწერა, ექვსი შაბლონი და ფონის სურათი.

რას აკეთებს. სამივე ველი არასავალდებულოა, მაგრამ ერთი მაინც უნდა შეავსო – ამას სერვერიც ამოწმებს. შაბლონი ფონის ფერს ცვლის; სურათი მას ფარავს და ტექსტი ზემოდან ედება. „შენახვა" ინახავს, „გაუქმება" და „×" ხურავს; Escape-იც ხურავს.

როდის გამოგადგება. რეკომენდებული ზომა თავად ფანჯარაშივე წერია – სხვა პროპორციის სურათი ცენტრიდან მოიჭრება.

„სტანდარტულების ჩამოტანა რედაქტირებისთვის" ღილაკი

რას ხედავ. ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარი სლაიდი ჯერ არ გაქვს.

რას აკეთებს. GoPAY-ის ჩაშენებულ სლაიდებს შენს, რედაქტირებად ჩანაწერებად აქცევს. ჩამოტანის შემდეგ ტექსტი ერთ ენაზე რჩება – სხვა ენაზე მკითხველი მძღოლიც ამ ტექსტს დაინახავს.

როდის გამოგადგება. როცა სტანდარტული სლაიდები მოგწონს და მხოლოდ ორიოდე სიტყვის შეცვლა გინდა.

თავი 22 SMS

ყველა შეტყობინება, რომელიც შენი ანგარიშიდან გავიდა. ერთჯერადი კოდი ჟურნალში დაფარულია ჩაწერისთანავე — ის აქ არასოდეს ხვდება.

ჩაბარდა · ჩავარდა · გზაშია ბარათი

ჩაბარდა	ჩავარდა	გზაშია
93	35	1

რას ხედავ. სამი ფილა მიწოდების მდგომარეობით.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. სტატუსი sendsms.ge-დან იკითხება პერიოდულად, ამიტომ „გზაშია" ცოტა ხანში „ჩაბარდაზე" გადადის.

როდის გამოგადგება. თუ „ჩავარდა" იზრდება — ან ბალანსია ამოწურული, ან გამგზავნის სახელი გაუქმდა.

შეტყობინების სტრიქონი სია



რას ხედავ. მიმღები, ნომერი, დრო და მდგომარეობის ნიშანი; ქვემოთ ნაცრისფერ ველში — გაგზავნილი ტექსტი.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. ეს არის დასტური იმისა, რომ მძღოლს შეტყობინება მართლა გაეგზავნა და მიუვიდა.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი ამბობს „არაფერი მოსულა" — აქ ერთი შეხედვით ჩანს, ასეა თუ არა.

თავი 23 პარამეტრები

/ad/settings

პარკის საკუთარი პარამეტრები და რეკვიზიტები. რაც GoPAY ადგენს, ის აქ მხოლოდ ჩანს; რაც პარკს ეკუთვნის, ის იცვლება.



მინდობილი პირის ანგარიში ჩამრთველი

რას ხედავ. ცალკე ბლოკი ჩამრთველით და ორი ახსნით.

რას აკეთებს. ჩართვისას მძღოლს შეუძლია გატანა სხვა პირის ანგარიშზე – ჩაწერს მფლობელის სახელს, გვარსა და პირად ნომერს, ბანკი კი ამოწმებს, ეს ანგარიში მართლა ამ ადამიანისაა თუ არა. დასადასტურებელი SMS-კოდი მძღოლის ნომერზე მიდის. გამორთვისას უკვე მითითებული მინდობილი ანგარიშებიც წყვეტს მუშაობას – მძღოლს მიზეზი ეცნობება და საკუთარი ანგარიშის მითითება მოუწევს.

როდის გამოგადგება. გადაწყვიტე ერთხელ. გადარიცხვა შენი ბანკიდან გადის, ამიტომ მესამე პირზე გადახდა შენი ასახსნელია შენივე ბანკთან.

გატანის პირობები ბარათი



რას ხედავ. ორი ციფრი: მინიმალური გატანა და საკომისიო.

რას აკეთებს. აქედან არ იცვლება – ამ პირობებს GoPAY ადგენს. ცვლილება შეთანხმებით ხდება.

როდის გამოგადგება. როცა მძღოლი კითხულობს, რატომ ვერ იტანს ხუთ ლარს.

პარამეტრები

საკომისიოს ცვლილების ისტორია სია



რას ხედავ. ვინ, როდის და რა შეცვალა – ძველი და ახალი მნიშვნელობით.

რას აკეთებს. მხოლოდ აჩვენებს. ჩანაწერი ავტომატურად ჩნდება ყოველი ცვლილებისას.

როდის გამოგადგება. როცა ამოწმებ, რომელი დღიდან მოქმედებს ახალი განაკვეთი.

ჩემი დანამატი გატანაზე ჩამრთველი + ველები + ღილაკი



რას ხედავ. გამშვები უჯრა „დანამატი ჩართულია", თანხის ველი და ანგარიშის ველი. ზემოთ წერია ქერი – მაქსიმუმი ერთ გატანაზე.

რას აკეთებს. ეს თანხა ემატება GoPAY-ის საკომისიოს და ჩამოიჭრება მძღოლის გატანიდან, შემდეგ კი ბანკში ხელმოსაწერად მიდის შენს მითითებულ ანგარიშზე. „შენახვა" ინახავს სამივეს ერთად; ქერზე მეტი და მინიმალურ გატანასთან შეუთავსებელი თანხა არ შეინახება.

როდის გამოგადგება. თუ დანამატს რთავ – ანგარიშის ველი აუცილებლად შეავსე, თორემ ჩამოჭრილ თანხას წასასვლელი არსად ექნება.

პარამეტრები

საქართველოს ბანკი ფორმა



რას ხედავ. ორი ბლოკი: ზემოთ Business Online – Client ID, Client Secret, საკუთარი IBAN და საგადასახადო კოდი; ქვემოთ, წყვეტილ ჩარჩოში – ბარათით მიღების რეკვიზიტები.

რას აკეთებს. ზედა ოთხეული გატანებს ემსახურება: აქედან მიდის თანხა მძღოლს. ქვედა წყვილი სულ სხვა პროდუქტია – ქირაობის დეპოზიტის ბარათით მისაღებად. ორი Client ID ერთმანეთს ჰგავს, ამიტომ ისინი განზრახ არის გაყოფილი: არასწორ ველში ჩაწერა შეცდომას არ გამოიწვევს – გატანა უბრალოდ შეწყვეტს მუშაობას. საიდუმლო ველები ცარიელი რჩება: ცარიელი ნიშნავს „დარჩეს ძველი".

როდის გამოგადგება. ერთხელ, პარკის დაწყებისას – და მაშინ, როცა ბანკში გასაღებს განაახლებ.

SMS (SENDSMS.GE) ფორმა



რას ხედავ. გამგზავნის სახელი და API გასაღები.

რას აკეთებს. შეტყობინებები შენი ანგარიშით იგზავნება – SMS-ის ხარჯს თავად ფარავ. გამგზავნის სახელი ისაა, რასაც მძღოლი ტელეფონში დაინახავს.

როდის გამოგადგება. გამგზავნის სახელის რეგისტრაცია sendsms.ge-ზე ცალკე ხდება – ჯერ იქ, მერე აქ.

შეტყობინებები ჩამრთველი + ველი + ღილაკი

რას ხედავ. გამშვები უჯრა „მძღოლს გაეგზავნოს SMS გატანის შესახებ" და ტექსტის ველი ნომრებისთვის.

რას აკეთებს. ველში ჩაწერილ ნომრებზე მოვა SMS ყოველი ახალი გატანის მოთხოვნისას – თითო ნომერი ცალკე ხაზზე. „შენახვა" ორივეს ინახავს.

როდის გამოგადგება. ჩაწერე ის ნომერი, რომელსაც დღის განმავლობაში ხელში იჭერ – ეს არის ყველაზე სწრაფი გზა, გაიგო, რომ მოთხოვნა შემოვიდა.

ДАНАРТИ A ღილაკების დექსიკონი

ერთი და იგივე ღილაკი პანელში რამდენიმე გვერდზე მეორდება. აქ ის ერთხელაა ახსნილი.

ღილაკი	საფ	რას აკეთებს
ჩართვა / გამორთვა	ლიდერბორდი, საჩუქრები	მაშინვე მოქმედებს, ცალკე შენახვას არ ითხოვს.
შენახვა	ყველა ფორმა	ველების ჯგუფს ერთად ინახავს. სანამ არ დააჭერ, ცვლილება არ არსებობს.
ხელმოსაწერად გაგზავნა	მთავარი	ბანკში ამზადებს დოკუმენტს. თანხა მხოლოდ შენი ხელმოწერის შემდეგ მიდის.
უარყოფა	გატანები	ორნაბიჯიანია: ჯერ მიზეზი, მერე დადასტურება. თანხა მძღოლს ბალანსზე უბრუნდება.
გამოქვეყნება / დამალვა	გაქირავება	მანქანას აჩენს ან მალავს აპლიკაციაში. ფოტოს გარეშე გამოქვეყნება არ მუშაობს.
განახლება	ლიდერბორდი	რანგს თავიდან ითვლის Yandex-იდან. ნელია განზრახ — ავტომატურად ისედაც ხდება.
კლასები	მანქანები	ტარიფის კლასებს პირდაპირ Yandex-ში წერს. ერთი კლასი მაინც სავალდებულოა.
გავეცი	საჩუქრები	პრიზს გაცემულად ნიშნავს. მხოლოდ აღრიცხვაა — ფული აქედან არ მოძრაობს.
თანხმობა / უარი	განაცხადები	ქმნის ხელშეკრულებას ან ხურავს განაცხადს; პასუხის ტექსტი მძღოლს მიდის.
გასუფთავება	მანქანები	ყველა ფილტრს ხსნის. ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ფილტრი აქტიურია.

ДАНАРТИ B პირველი დღე — ათი ნაბიჯი

თანმიმდევრობა შემთხვევითი არ არის: ყოველი ნაბიჯი შემდეგს ამზადებს.

1. **პარამეტრები → ბანკი**
   ჩაწერე Business Online-ის Client ID, Secret, IBAN და საგადასახადო კოდი.

2. **პარამეტრები → SMS**
   ჩაწერე sendsms.ge-ის გასაღები და დარეგისტრირებული გამგზავნის სახელი.

3. **პარამეტრები → შეტყობინებები**
   ჩაწერე შენი ნომერი, რომ ყოველი მოთხოვნა SMS-ით გაიგო.

4. **პარამეტრები → დანამატი**
   გადაწყვიტე, გინდა თუ არა საკუთარი დანამატი. თუ რთავ — ანგარიშიც მიუთითე.

5. **სლაიდები**
   ჩამოიტანე სტანდარტულები და გადააკეთე შენს ტექსტად.

6. **მძღოლები**
   გადახედე სიას — სახელები, ნომრები და მანქანები სწორად ჩანს თუ არა.

7. **მანქანები**
   ჩართე „მიუბმელი" და ნახე, რომელი მანქანა დგას მძღოლის გარეშე.

8. **გაქირავება**
   დაამატე პირველი მანქანა ფოტოებით და გამოაქვეყნე.

9. **ლიდერბორდი**
   ჩაწერე პრიზები, მერე ჩართე დაფა.

10. **მისიები**
    დაიწყე ერთი მარტივი პირობით და გამორთული ავტო-გაცემით — პირველ თვეს თავად ნახავ, ვინ ასრულებს.

11. **მთავარი**
    დაიმახსოვრე ორი ციფრი: „გასაცემი" და „GoPAY-ის საკომისიო". დანარჩენი მოგვიანებით.

ДАНАРТИ C ხშირი კითხვები

მძღოლმა თანხა მოითხოვა, მაგრამ ბალანსზე ნაკლები აქვს — რატომ?

ხელმისაწვდომი თანხა არის ბალანსი მინუს უკვე მოთხოვნილი. ერთი და იმავე ლარის ორჯერ მოთხოვნა შეუძლებელია, ამიტომ მეორე მოთხოვნაში პირველი უკვე გამოკლებულია.

რატომ ვერ ითხოვს მძღოლი გატანას?

სამი მიზეზია: თანხა მინიმალურზე ნაკლებია; პარკს GoPAY-ის საკომისიო ვადაგადაცილებული აქვს; ან მძღოლს საიჯარო ქირის დავალიანება აქვს და მოცდის ვადა გავიდა.

თანხა გავიდა, ბალანსი კი არ შემცირდა.

გატანების გვერდის თავში ჩნდება წითელი სია „გაგზავნილი, ბალანსი ჯერ არ ჩამოჭრილა". სისტემა თავად ცდილობს გასწოროს; თუ ჩანაწერი დიდხანს რჩება – გვაცნობე.

შემიძლია სხვა პარკის მონაცემები ვნახო?

არა. შენი პანელი შენს მისამართზე ცხოვრობს და სხვა პარკის მონაცემამდე მარშრუტი ტექნიკურად არ არსებობს – ეს დამალული ღილაკი კი არა, სხვა კარია.

ვინ ხედავს მძღოლის ეღფოსტას?

მხოლოდ GoPAY. ეს მისამართი ჩვენ ვთხოვეთ მძღოლს და პარკის პანელს ის არ გადაეცემა – არც სიაში, არც ბარათზე.

რა ხდება, თუ YANDEX არ პასუხობს?

ბალანსები და მგზავრობები დროებით არ ჩანს და გვერდი ამას პირდაპირ წერს. გაქირავება, სლაიდები, პარამეტრები და SMS-ის ჟურნალი აგრძელებს მუშაობას – ისინი ჩვენივე ბაზიდან იკითხება.

პრიზი ორჯერ გავეცი — როგორ ავიცილო?

გაცემისთანავე დააჭირე „გავეცი". ღილაკი მწვანე „გაცემულად" იქცევა და „გასაცემი" ფილტრიდან ჩანაწერი გამოდის.

მისიის ჯილდო ვისი ჯიბიდან გადის?

შენიდან. თანხა ჯერ მძღოლის Yandex-ბალანსზე ჩაირიცხება – ანუ ავტოპარკის ბალანსიდან – და მერე მისივე ბარათზე გადის. „მიმდინარე დაპირება" სწორედ ამ ჯამს გიჩვენებს წინასწარ.

მისია დავხურე — დაწყებული ჯილდოები დაიკარგება?

არა. დაწყებული პერიოდი ბოლომდე მიდის და დამსახურებული ჯილდო რჩება. დახურვა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შემდეგი პერიოდი აღარ დაიწყება.

რატომ წერია „ჩარიცხულია, ბარათზე ვერ გავიდა"?

ფული უკვე მძღოლისაა და მის ბალანსზე ზის – უბრალოდ ბარათი არ აქვს დამატებული. შენგან მოქმედება არ საჭიროებს: ანგარიშის დამატებისთანავე თავად გაიტანს.

შემიძლია საკომისიო ხელით შევცვალო?

GoPAY-ის საკომისიოს და მინიმალურ გატანას ჩვენ ვადგენთ და პარამეტრებში მხოლოდ ჩანს. შენი დანამატი კი შენია – ქერის ფარგლებში იცვლება იმავე გვერდზე.

დაწყება

1
განაცხადი gopay.ge-ზე

2
პარკი და მისამართი იქმნება

3
მძღოლები შემოდიან ნომრით

> ავტომატური გადარიცხვა BOG-ით ჩართვას საჭიროებს პარკის მხრიდან; მანამდე იგივე ნაკადი ხელით დადასტურებით მუშაობს. აქ არაფერი წერია, რაც „მალე იქნება".

GOPAY.GE

ტაქსოპარკის განაცხადი · აპლიკაცია Android-ზე